პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტური განათლება

სსსრ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ორგანო

21 აგვისტო, 1937 წ. № 78 (378) ფასი 10 კაპ.

ყირიმის პიონერულ ბანაკ—„არტეკში“ დასასვენებლად მყოფ ესპანელ ბავშვთა ჯგუფის მისალმება ამხანაგ სტალინისადმი

მსოფლიო პროლეტარიატის ძვირფასო და საყვარელო ბელადო და მამავ ამხანაგო **სტალინ!**

მაშინ, როცა ჩვენი ძვირფასი სამშობლო—ესპანეთი განიცდის ომის საშინელებებს, რაც მას თავს მოახვიეს და პროვოკაციულად გამოიწვიეს გერმანიისა და იტალიის ფაშისტმა ინტერვენტებმა, როცა ჩვენი მამები და ძმები ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, ჩვენ, ესპანელ ბავშვთა ჯგუფმა, თქვენი პირადი ინიციატივით ჩამოყვანილმა სტუმართ-მოყვარე და საუცხოო საბჭოთა კავშირში, მალე შევძელით დაგვევიწყნა ის საშინელებანი და ტანჯვა, რაც ომმა მოგვაყენა.

ოთხი თვე ვიყავით ცნობილ პიონერულ ბანაკ „არტეკში“, ყირიმის მშვენიერ კუთხეში შავი ზღვის ნაპირზე.

ჩვენი ცხოვრება ზღაპრულად მიმდინარეობდა: ჩვენ გარემოსილი ვართ სიყვარულითა და ალერსით, ჩვენ ფიზიკურად გავმაგრდით და გამოვმრთელდით და ბევრი კულტურული და სასარგებლო ჩვევა შევიძინეთ: ვისწავლეთ ფრენბურთის, ქალაქობის თამაში, ფიზკულტურული ვარჯიშობა, შევისწავლეთ შაშხანა, აირწინაღი, ვისწავლეთ სროლა, პირველი სამედიცინო დახმარების გაწევა. ვაგროვებდით ქვების, მცენარეების, მწერების კოლექციებს, ვისწავლეთ ტექნიკურ წრეებში მუშაობა, განსაკუთრებულად შეგვიყვარდა სხვადასხვა ავიამოდელის კეთება. ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ისე ვცხოვრობდით, როგორც არასოდეს არც კი გვიოცნებებია. ნაზი და მჭიდრო მეგობრობა დავამყარეთ საბჭოთა პიონერებთან. მათთან ერთად მოვაწყეთ მთელი რიგი შესანიშნავი ექსკურსიები—ლაშქრობანი ყირიმის საინტერესო ადგილებში.

ჩვენ ვოცნებობთ იმაზე, თუ როგორ ბევრს და მუყაითად ვისწავლით მოსკოვში. ჩვენ გვწამს, რომ შევძლებთ ვეზიაროთ სრულიად ახალ კულტურას, რომ ჩვენ ვიძენთ ისეთ ცოდნას, რომელიც მოგვამზადებს ყველა მშრომელის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მტკიცე მებრძოლებად.

ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ჩვენგანი ომის გამო ჩვენს ქვეყანაში სავსებით უწიგნური და მცირეკულტურიანია, მაგრამ ჩვენ ეს ახლა არ გვაშინებს, ვინაიდან ვიმყოფებით მთელი მსოფლიოს მუშათა სამშობლოში, სადაც ყველა გვეხმარება და ყველას ვუყვარვართ.

ჩვენი მადლობა თქვენდამი ყოველივე იმისათვის, რაც კეთდება ჩვენი ქვეყნისა და ჩვენთვის,—ბავშვებისათვის,—უსაზღვროა, და როგორც ერთადერთ პასუხს ჩვენი მხრით, გაძლევთ საზეიმო აღთქმას, რომ კარგად ვისწავლით, და რომ ჩვენი ყოფაქცევა და დისციპლინა უნაკლო იქნება.

ჩვენ გვაქვს ერთი სურვილი, ერთი ოცნება—განხოთ თქვენ, რათა პირადად გადმოგცეთ მთელი ის მადლობა, რაც ჩვენს გულში არსებობს.

ვამთავრებთ ჩვენს წერილსა და ვიძახით: გაუმარჯოს ჩვენს მამას და მეგობარს ამხანაგ **სტალინს.**

◆

მოსკოვ-ჩრდილო ამერიკის მარშრუტით გადაფრენათა მომწყობი მთავრობის კომისიისაგან

18 აგვისტოს განმავლობაში საკმაო დანამდვილებით ვერ მოხერხდა თვითმფრინავ „ნ—209“-ის რადიოსადგურის ალმოჩენა.

გრძელდება იმ თვითმფრინავთა ფრენა ჩრდილოეთისაკენ, რომლებიც გამოყოფილია ძებნის სამუშაოებისათვის. ზადკოვის თვითმფრინავი „ნ—2“ პროვიდენიის ბუხტიდან ჩაფრინდა უელენში. ამხ. გრაციანსკის თვითმფრინავი „ნ—207“ კრასნოიარსკიდან გაფრინდა დუდინკაში, ამხ. გოლოვინის თვიმფრინავი „ნ—206“ ყაზანიდან გაფრინდა სვერდლოვსკში.

ყინულმჭრელი „კრასინი“ 17 აგვისტოს ღამით მოიხსნა ლუზიდან შმიდტის კონცხთან და აიღო კურსი ბაროუს კონცხისაკენ ალიასკაზე „კრასინზე“ დატვირთულია ორი თვითმფრინავი „პ—5“ (იმავე ტიპის, როგორითაც ამხ. მოლოკოვმა და კამანინმა გადაარჩინეს ჩელუსკინელები) და ორი დამხმარე თვითმფრინავი „უ-2“. მფრინავთა რაზმს (14 კაცის შემადგენლობით) მეთაურობს მფრინავი ამხ. კამინსკი. „კრასინმა“ აგრეთვე დატვირთა 78 ტონა საავიაციო საწვავი მასალა და ზეთი, თხილამურები თვითმფრინავებისათვის, სათადარიგო ხრახნები, სათადარიგო ნაწილები, თბილი ტანისამოსი და ნარტები, რომლებშიაც ძაღლებს შეაბამენ.

◆

ყინულმჭრელი „კრასინი“ მიიწევს ალიასკის ჩრდილოეთით. 19 აგვისტოს შუადღეზე მოსკოვის დროით იგი იმყოფებოდა დასავლეთის გრძედის 160 გრადუსზე და განედის 71 გრადუსზე, მიდის სქელ ნისლში ყინულს შორის, რაც 8 ბალამდე აღწევს.

მფრინავი ზადკოვი გაჩერებულია უელენში იმის გამო, რომ როგორც უელენში, ისე ბაროუს კონცხზე (ალიასკა), მის უახლოეს მიზანზე ნისლია. მფრინავი გრაციანსკი მიფრინდა დუდინკაში, მფრინავი გოლოვინი—ტიუმენში.

საბჭოთა მთავრობის დავალებით ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარმა სამმართველომ ამტორგის მეშვეობით ამერიკაში შეიძინა „კონსოლიდეიშედის“ ფირმის დიდი ჰიდროპლანი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ძებნის სამუშაოებში ცნობილი ამერიკელი პოლარული მკვლევარის ვილკინსის ხელმძღვანელობით. (საქდესი).

გუშინ გაიხსნა ავლაბრის რესტავრირებული ბოლშევიკური არალეგალური სტამბა, რომელიც მოწყობილი იყო და მუშაობდა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით 1904—1906 წ. წ.



ამ სახლის სარდაფში 1904 წ.
იანვრიდან 1906 წ. 15 აპრილამდე
არსებობდა არალეგალური სტამბა
რ.ს.-დ.მ.პ. კავკასიის კავშირის
კომიტეტისა, რომელსაც ხელმძღვა-
ნელობდა
დიდი სტალინი

1906 წელს თვითმპყრობე-
ლობის მიერ დანგრეული
ავლაბრის არალეგალური
სტამბა რესტავრირებულია
1936 წელს საქართველოს
კ.პ.(ბ) ც.კ.-ის 1935 წლის
10 ნოემბრის დადგენილებით

მემორალური დაფის ქართული ტექსტი, დაფა (რუსულ-ქართული ტექსტით) გაკეთებულია ავლაბრის სტამბის რესტავრირებულ შენობის კედელზე.

თბილისელი სკოლამდელები ზღვის პირად ისვენებენ

ქობულეთში ზღვის პირად არსებობს საქართველოს სკოლამდელთა კოოპერაციის ბერიას სახელობის დასასვენებელი სახლი. წელს იქ რამდენიმე ასეული ბავშვი დაისვენებს.

ამ დღეებში ქობულეთიდან დაბრუნდა დამსვენებელთა პირველი პარტია 160 ბავშვის რაოდენობით. ისინი მზეს დაუტრუსავს და მშვენივრად მოკეთებულან. მშობლები აღფრთოვანებით ლაპარაკობენ დასასვენებელი სახლის მუშაობის შესახებ.

16 აგვისტოს ამავე დასასვენებელ სახლში წავიდა ბავშვების მეორე პარტია.

ბათომის მატარებელში მათთვის სპეციალური ვაგონებია გამოყოფილი ბავშვებს ახლავთ ალმზრდელები.

(საქდესი).

მხიარულად ისვენებენ

4 ივლისს განსახკომის 1-ლი საბავშვო ბაღი დასასვენებლად გაემგზავრა გაგრაში 2 თვით. ბავშვებს იქ დახვდათ სუფთა, მზიანი, ნათელი ორსართულიანი ბინა.

ადგილობრივ საბავშვო ბაღმა სტუმრებს საზეიმო შეხვედრა გაუმართა. ბავშვებმა თან მოიტანეს საჩუქრად საკუთარ სახელოსნოში დამზადებული მრავალი სათამაშო.

მხიარული ბავშვები წითელი დროშებით ხელში ერთმანეთს მხურვალედ მიესალმნენ. გაიმართა სიმღერა, ცეკვა და სხვა გასართობები.

ბავშვების დასვენების ორგანიზაცია კარგადაა მოწყობილი. მათ საგრძნობლად მოიმატეს და ყველა ჯანსაღად არის. უნდა აღინიშნოს, რომ 1-ლი საბავშვო ბაღის დასვენების მოწყობის საქმეში დიდი ინიციატივა და ენერგია გამოიჩინა ნ. უნაფქოშვილმა.

ამ დღეებში დასვენებული და გაჯანსაღებული ბავშვები დაბრუნდებიან თბილისში.

თ. იმედაშვილი

ამხ. გიორგი ივანეს-ძე კიკნაძე საქართველოს სსრ ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით დანიშნულია საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ.

საიუბილეო კრებული „სსრ კავშირის მეცნიერება და ტექნიკა 20 წლის მანძილზე“

ლენინგრადი, 18 აგვისტო (საქდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია უშვებს საიუბილეო კრებულს—„სსრ კავშირის მეცნიერება და ტექნიკა 20 წლის მანძილზე“. გამოჩენილმა მეცნიერულმა ძალებმა—აკადემიკოსებმა, პროფესორებმა და ინჟინრებმა—კრებულის გამომცემლობას გადასცეს თავიანთი სტატიები მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, გეოლოგიაში, გეოფიზიკასა და ბიოლოგიაში. კრებულში მონაწილეობას იღებენ აკადემიკოსები იოფე, ო. ი. შმიდტი და სხვები. კრებულისათვის შესავალ სტატიას სწერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი კომაროვი.

სტატიების ავტორები გვაძლევენ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და ტექნიკის აყვავებისა და შემდგომი განვითარების ფართო სურათს.

კრებულის რედაქტორია აკადემიკოსი ს. ი. ვავილოვი.

◆ ◆ ◆ ◆ ◆

უკანასკნელი ცნობები

ამხ ლევანევსკის თვითმფრინავის საძებრად

ლონდონი. 20 აგვისტო (საქდესი). (ტელეფონით) რეიტერის სააგენტო ნიუ-იორკიდან იუწყება.

დღეს, 17 საათსა და 40 წუთზე ნიუ-იორკის დროით, ლონგ-აილენდის ჰიდროპორტიდან გაფრინდა მფრინავი ნავი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ლევანევსკის თვითმფრინავის ძებნაში. მფრინავ ნავზე იმყოფება ჰუბერტ ვილკინსი და ეკიპაჟი ოთხი კაცის შემადგენლობით. პირველი დაშვება განზრახულია ტორონტოში.

(„იზვესტია“).

განხეთქილება პორტუგალიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის

ლონდონი, 19 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ლისაბონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ პორტუგალიის მთავრობამ შესწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიასთან. პორტუგალიის მთავრობამ გამოაქვეყნა დღეს კომუნიკე, სადაც ნათქვამია, რომ პორტუგალიამ მისცა ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ქარხანას ზბროიოვკას ტყვიამფრქვევთა დიდი შეკვეთა. 23 ივლისს ქარხანამ აცნობა პორტუგალიის ელჩს პრაღაში, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ნება არ დართო ქარხანას მოაწოდოს პორტუგალიას იარაღი იმ პოზიციის გამო, რაც პორტუგალიამ დაიკავა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხში.

ამ საკითხის გამო გაჩაღდა დიპლომატიური მიწერ-მოწერა.

5 აგვისტოს პორტუგალიამ მიიღო ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ნოტა, რომელშიაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობა აღნიშნავს, რომ იარაღის ჩაბარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ პორტუგალია არავითარ გარემოებაში არ დაუთმობს ამ იარაღს ესპანეთს.

პორტუგალიის მთავრობამ დაადგინა, შესწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინური ბეჭდვითი სიტყვის ძეგლი

(ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბა 1904—1906 წ. წ.)

„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა, მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე, განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან“.

ლ. ბერია

ამიერ-კავკასიაში და საქართველოში ბოლშევიკური არალეგალური სტამბის მოწყობის საქმე განუყრელად დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან.

ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით და დახმარებით ამხ. ლ. **კეცხოველმა** მოაწყო არალეგალური სტამბა ქ. ბაქოში, სადაც იბეჭდებოდა თბილისის რევ. სოც.-დემ. გაზეთი „ბრძოლა“. ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით 1900—1901 წ. წ. ნაძალადევში და მთაწმინდასთან პატარა გვირაბში მოეწყო არალეგალური სტამბები.

ამხანაგი **სტალინი**, რომელიც 1903 წ. ქუთაისის ციხეში იყო დატუსაღებული, განაგრძობს ა. კ. რევოლუციურ სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობას. ის ციხიდან აძლევს დირექტივას რ.ს.დ.მ.პ. კავკასიის კავშირის კომიტეტს ახალი მძლავრი არალეგალური სტამის შექმნის შესახებ, რომელიც უაღრესად საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო დაცული და გამოყენებული მასიური რევოლუციური და სხვა სპეციალური პარტიული ლიტერატურის დასაბეჭდად.



ამხანაგ ლენინის ნაშრომი „რევოლუციონური დემოკრატიული დიქტატურა“.. დაიბეჭდა ქართულ ენაზე ამხანაგ სტალინის ინიციატივით და ხელმძღვანელობით 1905 წელს ავლაბრის სტამბაში.

ამ დიდი ამოცანის შესასრულებლად, რ.ს.დ.მ.პ. კავკასიის კავშირის კომიტეტმა რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ამხანაგი **სტალინი** იყო, გამოიტანა სათანადო გადაწყვეტილება.

შესაფერისი ბინის გამოძებნა დაევალა მოწინავე მუშას ამხ. მიხო ბოჭორიძეს. გადაწყდა სპეციალური შენობის აგება, რომელიც თავისი დიდი კონსპირაციით მომარჯვებული იქნებოდა არალეგალური სტამბისათვის.

ასეთი შენობა 1903 წლის ბოლოს აგებულ იქნა ავლაბარში დავით როსტომაშვილის მიწის ნაკვეთზე. სტამბის შენობის აგება წარმოებდა უსასტიკესი კონსპირაციით, მეტად მძიმე პირობებში.



სურათზე: ავლაბრის არალეგალური სტამბის საბეჭდი მანქანა

„აგებულ იქნა ერთსართულიანი სახლი, ორი ოთახითა და სარდაფებით: ჩვეულებრივი სარდაფის ქვეშ მოწყობილი იყო კიდევ ფარული სარდაფი, სადაც იმყოფებოდა სტამბა. მიწის სამუშაოები, რომლებიც ჩატარდა ერთსართულიანი სახლის აშენებისა და სარდაფების მოსაწყობად იყო შემდეგი მოცულობისა: მიწა გათხრილი იყო სიღრმით 13 არშინზე, სიგანით 9 არშინზე და სიგრძით 16 არშინზე, სტამბაში შესასვლელად ამოთხრილი იყო 20 არშინი სიღრმის სპეციალური ჭა. ჭის წყლის დონიდან 3 არშინზე, სტამბის მხარეზე გათხრილი იყო 2 საჟენის სიგრძის გვირაბი, რომლის ბოლოში მიდგმული იყო 6 არშინიანი კიბე. ამ კიბით შეიძლებოდა საიდუმლო სტამბაში ასვლა. ჭაში გვირაბამდე ჩადიოდნენ საფეხურებით, რომლებიც იყო ჭის კედლებში ყოველ 3-4 არშინზე, კონსპირაციის მიზნით საცხოვრებელი ბინიდან სტამბაში გაყვანილი იყო ელექტროზარი ნიშნის მისაცემად. ვინიცობაა ბინაში ვინმე უცხო მოხვდებოდა, სახლის მუდმივი დიასახლისი ბაბე ლაშაძე ოდნავი საფრთხის დროს ტახტის უკან საიდუმლოდ მიკეთებული ელექტროზარის საშუალებით მაშინვე აცნობებდა სტამბაში მომუშავეთ, რათა უბრალო შემთხვევას ხიფათში არ ჩაეგდო არალეგალური სტამბის არსებობა. ერთი ზარი საშიშროებას ნიშნავდა, ორი — საშიშროების განვლას“ (ნ. ალაჯალოვის სტატიიდან „ავლაბრის ბოლშევიკური იატაკქვეშა სტამბა“).

„1904—1907 წლების პერიოდში ამხანაგი სტალინი, რომელიც ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა საჭესთან დგას, უდიდეს თეორიულ-ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა. იგი ხელმძღვანელობს და წარმართავს მთელი ბოლშევიკური პრესის მუშაობას“. (**ლ. ბერია**).

ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით და ხელმძღვანელობით ავლაბრის სტამბაში ქართულ და სომხურ ენაზე დაიბეჭდა **ვ. ი. ლენინის** გენიალური შრომები: „სოფლის ღარიბ-ღატაკებისადმი“, „რევოლუციონურ - დემოკრატიული დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხკაცობისა“.

ავლაბრის სტამბაში დაიბეჭდა ამხანაგ **სტალინის** მიერ დაწერილი მთელი რიგი ისტორიული შრომები, პროკლამაციები და მოწოდებანი; მაგ., ამხანაგ **სტალინის** ცნობილი ისტორიული შრომა—„გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ რუსულ, ქართულ და სომხურ ენაზე, პროკლამაციები:

„ქალაქ თბილისის ორგანიზებულ მუშებს“ „კავკასიის ყველა მუშებს“, „რა გამოირკვა“?, „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!“, „კავკასიის ყველა მუშებს, მუშა-ქალებს და გლეხკაცობას“, „ქართლ-კახეთის გლეხკაცობას“, „ძმებო-სალდათებო, ძირს ომი!“, „ახლად გაწვეულთადმი“ და სხვა.

ამხანაგ **სტალინის** ყველა ეს შრომა იბეჭდებოდა რამდენიმე ათასი ცალის რაოდენობით, ფართოდ ვრცელდებოდა მუშათა და რევოლუციური გლეხობის მასებში, ყოველთვის უდიდეს გავლენას ახდენდა მათზე და უღვივებდა მათ პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლის ენთუზიაზმს.

ავლაბრის არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში ამხანაგ **სტალინის** რედაქტორობით იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ (რ.ს.დ.მ.პ. კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო) და მისი დამატება „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“. გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ გამოდიოდა სამ ენაზე—ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზე.

ხსენებული გაზეთის მეთაურებისა და წამყვანი წერილების დიდი უმრავლესობა ეკუთვნის ამხანაგ **სტალინის** კალამს. მაგ., „პასუხად სოციალ-დემოკრატს“, „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური კითხვა“, „მეფის მანიფესტი და ხალხის რევოლუცია“, „ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას“, „რეაქცია მწვავდება“ და მრავალი სხვა.

ავლაბრის სტამბაში დაიბეჭდა ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზე ამხანაგ **სტალინის** ბროშურა „ორი შეჯახება“ («Две схватки») რომელშიაც მოცემულია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში მუშათა კლასის ტაქტიკის ლენინური განსაზღვრა.

აქვე დაიბეჭდა ამხანაგი **სტალინის** ბროშურა (ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზე) „ცნობა უმცირეს-უმრავლესობის საერთო სარუსეთო-კონფერენციებზე“.

საუკეთესოდ იყო მოწესრიგებული არალეგალური ლიტერატურის მოწოდების საქმე. ამხანაგი **სტალინი** უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა არალეგალურ ლიტერატურის გაგზავნას ბაქოში, ჭიათურაში, ბათუმში, ა. კ. სხვა ქალაქებში და რაიონებში. ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით ავლაბრის სტამბაში დაბეჭდილი არალეგალური პარტიული ლიტერატურა ეგზავნებოდა **ვ. ი. ლენინს.**

ავლაბრის ბოლშევიკურ არალეგალურ სტამბის მუშაობის უდიდესი წარმატებებით გაბოროტებულმა თბილისის მენშევიკებმა არაერთხელ სცადეს მისი ხელში ჩაგდება, მაგრამ ამაოდ.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, არალეგალური ბოლშევიკური ლიტერატურის გარდა, სპეციალურად მოწყობილ ლაბორატორიაში მზადდება ფეთქებადი ნივთიერებანი.

ავლაბრის სტამბაში ჰქონდათ თვითმპყრობელობის ზოგიერთი ორგანოს ბეჭედი და „შტამპები“, რომლებსაც იყენებდნენ არალეგალური მუშაობის სხვადასხვა საჭიროებისათვის—(პასპორტების დასამზადებლად და სხვა).



ორი შეჯახება

1906

ამხანაგ სტალინის შრომა „ორი შეჯახება“. დაიბეჭდა 1906 წელს ავლაბრის სტამბაში სურათზე: წიგნის გარე-ყდა.



პროლეტარიატის ბრძოლა

№ 7.

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ №7 პირველი გვერდი. გაზეთი იყო რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო და ამხანაგ სტალინის რედაქტორობით იბეჭდებოდა ავლაბრის არალეგალურ სტამბაში 1904-1906 წლებში.

ცხადია, თვითმპყრობელობას არ გამოეპარებოდა ასეთი ძლიერი არალეგალური სტამბის არსებობა. საქ. ცენტრ. არქივში დაცული ჟანდარმერიის მთელი რიგი მასალები მოწმობენ, თუ როგორ გულმოდგინეთ და ხანგრძლივად ეძებდნენ ისინი სტამბის ადგილს. მიუხედავად ამისა, ავლაბრის არალეგალურმა ბოლშევიკურმა სტამბამ 1904 წლის თებერვლიდან 1906 წ. გაზაფხულამდე იარსება. მის ჩავარდნას ხელი შეუწყო, ერთის მხრივ, ჟანდარმერიის მიერ დამყარებულმა სასტიკმა მეთვალყურეობამ, მეორეს მხრივ, პროვოკატორ გურჯიევის დასმენამ.

1906 წ. 15 აპრილს (ძველი სტილით) ჟანდარმერია თავს დაესხა სტამბას და არაჩვეულებრივი გულდასმითი ჩხრეკის შემდეგ აღმოაჩინა იგი.

15 აპრილს 1906 წელს კავკასიის პოლიციის უფროსი თავის დეპეშაში შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებდა შემდეგს: „არალეგალური სტამბის შემდგომი გაჩხრეკით აღმოჩენილია: დაახლოვებით 80 ფუთი შრიფტი, 20 ფუთი ქაღალდი, 50 ფუთამდე პროკლამაციები სამ ენაზე. 30 ფუთამდე ბროშურები, საპასპორტო ბიუროს უამრავი ბეჭდები, 18 ცალი ტიპოგრაფიული კასა, გამზადებული ანაწყობები, ასაფეთქებელი ნივთიერებათა ლაბორატორია, სამი გატენილი ყუმბარა, საცობის გასაკეთებელი ყალიბი, ყუმბარის გასატენად სიმჟავის სითხე, დინამიტები, ასაფეთქებლად მომზადებული დიდი ყუმბარა ბიკფორდის ზონარით... ნაპოვნია მეტად ძვირფასი მასალა გამოკვლევისათვის“.

სხვა საარქივო დოკუმენტებში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი იმ ლიტერატურისა და პროკლამაციების სახელწოდება, რომლებიც ჩხრეკის დროს ჟანდარმერიამ იპოვა. მათ რიცხვში ამხანაგ სტალინის მრავალი შრომა მაგ.: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ (69 ეგზემპლარი რუსულ ენაზე, 399 ქართულზე და 406 სომხურზე) „ორი შეჯახება“ და სხვ.

ავლაბრის არალეგალური სტამბის ჩავარდნა დიდი და სერიოზული დანაკლისი იყო რევოლუციური მოძრაობისათვის ამიერ-კავკასიაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის ბოლშევიკები ამხანაგ **სტალინის** გენიალური ხელმძღვანელობით შავი რეაქციის თარეშის პერიოდშიც, რევოლუციური აღმავლობის წლებშიაც და რევოლუციური მოძრაობის ყველა ეტაპზე საუკეთესოდ ახერხებდნენ არალეგალური გაზეთებისა და ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების საქმის მოგვარებას.

მეფის ჟანდარმერიის მიერ გადაბუგული და ძირფესვიანად დანგრეული ავლაბრის არალეგალური სტამბა, საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხ. ლავრენტი ბერიას ინიციატივით მთლიანად აღდგენილია. მისი პირველი სახით—მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მიერ. აგებულია ზუსტად ამავე ზომის ერთსართულიანი პატარა სახლი ორი საკმაოდ მოზრდილი ოთახით, რომლებშიაც მოწყობილია გამოფენა. მოცემულია სტამბის მუშაობის შესახებ ზოგიერთი ისტორიული დოკუმენტი, იქ დაბეჭდილი არალეგალური ბოლშევიკური ლიტერატურისა და გაზეთების პირველადი ეგზემპლიარები (ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე) და სხვ.

ავლაბრის ბოლშევიკური არალეგალური სტამბა წარმოადგენს შესანიშნავ ისტორიულ ძეგლს იმ უდიდეს რევოლუციურ გმირული ბრძოლების შესახებ, რომლებსაც რევოლუციური მოძრაობის ყველა ეტაპზე დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ეწეოდნენ.

ნ. ყალიჩავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვემზადოთ გამეორებითი გამოცდებისათვის

25 აგვისტოს დაიწყება მოსწავლეთა გამეორებითი საშემოდგომო გამოცდები. იმისაგან, თუ რამდენად მომზადებული გამოვლენ მოსწავლეები ამ გამოცდებზე, დამოკიდებულია მეორეწლიანობის ლიკვიდაცია ახალი სასწავლო წლისათვის. ამიტომ კონკრეტული დახმარების აღმოჩენა ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის ყოველი დირექტორისა და ყოველი მასწავლებლის უპირველესი მოვალეობაა. თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებამ დაავალა რაიონულ განათლების განყოფილებათა გამგეებს და სკოლის დირექტორებს მოაწყონ სისტემატური დახმარება ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის სკოლაში.

დახმარების აღმოჩენის მიზნით აღრიცხულ უნდა იქნეს ჩამორჩენილ მოსწავლეები, რომლებიც თბილისში იმყოფებიან და დახმარებას საჭიროებენ.

სკოლამ უნდა გამოჰყოს ორი, სამი ან ოთხი მასწავლებელი, საჭიროების მიხედვით, ძირითად საგნებში (მშობლიური ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია და სხვ.) ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის კონსულტაციის გასაწევად, მოაწყოს ჩამორჩენილ მოსწავლეთა სამეცადინო კლასები სათანადო ავეჯით და სასწავლო ხელსაწყოებით. უნდა დაინიშნოს ყოველდღიურად 3-4 სამეცადინო საათი.

გავაუმჯობესოთ სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობა

სკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 27 ივნისის ისტორიულ დადგენილების საფუძველზე სწრაფად იზრდება საბავშვო დაწესებულებათა ქსელი.

კერძოდ ქუთაისის რაიონში ერთი წლის განმავლობაში გაიხსნა 7 ახალი საბავშვო ბაღი.

ქუთაისის განათლების განყოფილებამ წელს განსაკუთრებული სამზადისი ჩაატარა ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის ხაზით. მომარაგებული იქნა ბავშვები საზაფხულო ტანისამოსით, ფეხსაცმელებით სამხებით და სხვ.

ქუთაისის 30 საბავშვო ბაღიდან 20-მა გაგზავნა 700-დე ბავშვი: ბაკურიანში, წაღვერში, ქვიშხეთში, ქობულეთში, საწირეში, სურამში და გელათში, სადაც დარჩებიან თვენახევრის განმავლობაში. ამ ახალშენებში სანიტარული მდგომარეობა და კვება დამაკმაყოფილებელია, თვით ქუთაისში დარჩენილ ბავშვებისათვის მოწყობილია 2 გამაჯანსაღებელი მოედანი 80 ბავშვისათვის.

სოფლად მუშაობს 5 სტაციონალური საბავშვო ბაღის მოედანი, სადაც 200 ბავშვია და გარდა ამისა — 4 სეზონური. სეზონურ მოედნთა შორის კარგად მუშაობს ზედა-მესხეთის მოედანი, კოლმეურნეობის საბავშვო მოედნებში არა ჰყავთ ექიმი, ზოგან არ არის სათანადო კვება, არა აქვთ საჭირო ინვენტარი, სასწავლო ნივთები და სათამაშოები. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საბავშვო ბაღებს.

კოლმეურნეობის საბავშვო ბაღების ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ მათ მიწათმოქმედების განყოფილებამ და მ.ტ.ს-მა. მასთან, კარგი იქნება, განსახკომმა გამოყოს ცალკე მომუშავე კოლმეურნეობათა საბავშვო ბაღებისათვის.

უნდა დაჩქარდეს პროგრამების დამუშავება და მიწოდება საბავშვო ბაღებისათვის, ვინაიდან დღესაც მუშაობას ადგილებზე აწარმოებენ ცრუ-მეცნიერების-პედოლოგიის საფუძველზე აგებული პროგრამებით.

საჭიროა აგრეთვე სკოლამდე აღზრდის განყოფილებამ სახელგამის მეშვეობით მოამარაგოს საბავშვო ბაღები აუცილებელი და საჭირო მასალებით: სახატავი ქაღალდებით, საილუსტრაციო სურათებით, საბავშვო ლიტერატურით, წერა-კითხვისა და ანგარიშის დიდაქტიკური მასალებით, სათამაშოებით და ხელსაწყოებით.

ორიოდე სიტყვა საბავშვო ბაღების მშენებლობის შესახებ. საბავშვო ბაღების ახალი მშენებლობა კერძოდ ქუთაისში ძალიან სუსტად მიმდინარეობს. შარშან სექტემბერში დაწყებული საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც იანვრისათვის უნდა ყოფილიყო დასრულებული, დღესაც დაუმთავრებელია.

მეორე საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც ამა წლის პირველ სექტემბერს უნდა ყოფილიყო მზად, დღესაც არაა დაწყებული.

არსებული საბავშვო ბაღები ახალი სასწავლო წლის სამზადისს გეგმის მიხედვით დაამთავრებენ - რემონტს 15-20 სექტემბერს, ინვენტარი დამზადებული იქნება 20 სექტემბრისათვის. 1 ოქტომბერს ყველა ბაღი მზად იქნება ნორმალური მუშაობისათვის.

ნ. ჯანჯღავა

ქუთაისის გან. განყოფილების სკოლამდე აღზრდის ინსპექტორი.

მზადება სკოლამდე აღზრდის დაწესებულებებში ახალი სასწავლო წლისათვის

ცრუმეცნიერების — პედოლოგიის გაუქმების შემდეგ აუცილებელი შეიქნა 1935 წელს გამოშვებული პროგრამების ნაცვლად ახალი პროგრამების დამუშავება. განსახკომის სკოლამდე აღზრდის განყოფილებამ უკვე დაამუშავა ეს პროგრამები და 25 აგვისტოსათვის სავსებით დამზადებული იქნება ადგილებზე დასაგზავნად.

სამეურნეო ორგანიზაციებზე გადაცემული საბავშვო ბაღები ნორმალურად მუშაობენ. მაგრამ კოლმეურნეობებთან არსებულ სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა პირობები უმრავლეს რაიონებში არ არის დამაკმაყოფილებელი — ბავშვებს ყველგან არ ეძლევათ კვება, არა აქვთ ბინები, მოწყობილობა, სათამაშოები, დიდაქტიკური მასალა და სხვ., რის გამო 15 რაიონში დაიხურა საკოლმეურნეო საბავშვო ბაღები, მაგ., ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოულის), ამბროლაურის, ხობის, თიანეთის, გეგეჭკორის, დუშეთის, ქუთაისის რაიონებში და სხვ. მთავრობის დადგენილებით კი არსებული ქსელი სამჯერ უნდა გაზრდილიყო. თავის დროზე ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად როცა მივმართეთ ახლა გამომჟღავნებულ ხალხის მტერს ტროცკისტ მგალობლიშვილს, მან ასეთი პასუხი მოგვცა: „მე ჩემი ბავშვებისათვის ვერ მომივლიაო". არამზადა შ. გეგენავაც მსგავსი პასუხით გვისტუმრებდა.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, რომელსაც ეკუთვნის სკოლამდე აღზრდის საკოლმეურნეო ქსელი, უმოქმედობას იჩენს.

რაც შეეხება ადგილობრივ ბიუჯეტით დაფინანსებულ საბავშვო ბაღებს, აქ მდგომარეობა უკეთესია: დაყვანილია რაიონებამდე საკონტროლო ციფრები, თუ რამდენი ბავშვი უნდა იქნეს აყვანილი 1937/38 წელს სკოლამდე აღზრდის დაწესებულებებში.

საქართველოში 640 სკოლამდე აღზრდის დაწესებულებაა, ამ დაწესებულებებში მუშაობს 1.845 პედაგოგი. დღემდე სკოლამდე აღზრდის პედკადრები არ ინიშნებოდა განსახკომის მიერ. ამიტომ მათ ჩვენ ნაკლებად ვიცნობდით. წელს კადრების შერჩევა-დანიშვნის საქმეს ხელმძღვანელობს განსახკომის სკოლამდე აღზრდის განყოფილება. რაც საშუალებას გვაძლევს ახლოს გავიცნოთ ჩვენი პედკადრები.

უნდა აღინიშნოს, რომ რაიონული გან. განყოფილებები დროულად ან სრულად არ ადგენენ განსახკომში კადრებს დასამტკიცებლად.

ცუდად მიმდინარეობს სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა მშენებლობა. გეგმით გათვალისწინებული საბავშვო ბაღების შენობები არ არის დამთავრებული: 4 საბ. ბაღის შენება სულ არ დაწყებულა. განსახკომის საამშენებლო სამმართველო ამ საქმეში სრულ უმოქმედობას იჩენს.

წელს როგორც რაიონებიდან, ისე თბილისიდან გაყვანილია სხვადასხვა სააგარაკო ადგილში სკოლამდელი ასაკის 3000-მდე ბავშვი.

სახელმძღვანელოებით მომარაგების საქმე ასეთ მდგომარეობაშია: გადაცემულია დასაბეჭდად 2 სახელწოდების ლექსთა და მოთხრობათა კრებული სკოლამდელებისათვის. იბეჭდება მეთოდიკები: ბუნება საბავშვო ბაღში, სახვითი ხელოვნება, წერა-კითხვის სწავლება და სხვ.

ამჟამად ჩვენი საბრძოლო ამოცანაა სკოლამდე აღზრდის დაწესებულებებმა ნორმალურ პირობებში განაახლონ მუშაობა.

მ. ჭავჭანიძე

განსახკომის სკოლამდე აღზრდის განყოფილების გამგე

წიგნები სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის

გამომცემლობა „სახელგამის" საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექტორმა აპრილიდან დაიწყო მუშაობა წიგნების გამოსაცემად სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის. დასახული გეგმით 15 ნოემბრამდე უნდა გამოიცეს 75 სახელწოდება, აქედან 18 დაწყებითი სკოლებისათვის, დანარჩენი კი საშუალო სკოლებისათვის. 15 სახელწოდების წიგნი უკვე დაბეჭდილია, 45 გადაეცა წარმოებას და მხოლოდ 15 არის რედაქტორის სტადიაში.

ამ დღეებში გამოვა კრებული „ლენინი და სტალინი ქართულ ფოლკლორში". კრებულში შევა ხალხური ლექსები და სიმღერები მსოფლიო პროლეტარიატის ბელადებზე — ლენინსა და სტალინზე.

სკოლებს უკვე გადაეცა ვ. მაიაკოვსკის პოემა „ვ. ი. ლენინი", რომელიც ქართულად სთარგმნა პოეტმა მ. პატარიძემ. გამოვიდა აგრეთვე „რჩეული ლექსები" — გალაკტიონ ტაბიძის. „ფუტლიარის კაცი" — ა. ჩეხოვის (შ. თაბუკაშვილის თარგმანი). პროფესორ ს. დანელიას წიგნი „ა. ს. პუშკინის ცხოვრება და შემოქმედება". ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ერთტომეული და სხვ.

მალე გამოვა ა. მ. გორკის „ბავშვობა", ნ. ოსტროვსკის წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი" (რ. ქორქიას თარგმანი), ნ. ვ. გოგოლის „მკვდარი სულები" (დ. კასრაძის თარგმანი). აგრეთვე დ. ჭონქაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის და სხვ. თხზულებანი (საქდესი).



შოთა რუსთაველის პორტრეტი. კონკურსის მასალებიდან.

დიდი იუბილე

გუშინ, 20 აგვისტოს სამი წელი შესრულდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილების გამოტანიდან ქართველი ხალხის სიამაყის, გენიოსი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავის აღსანიშნავი იუბილეს მოწყობის შესახებ. იუბილე დაიწყება მიმდინარე წლის 10 დეკემბერს და გასტანს დეკემბრის ბოლომდე.

შოთა რუსთაველის იუბილესათვის ემზადება დიადი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხე, ეს იუბილე მთელი საბჭოთა კავშირის საერთო — სახალხო ზეიმი იქნება, იუბილესათვის გულმოდგინედ ემზადება არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობა. გამარჯვებული სოციალიზმის 170-მილიონიანი, მრავალეროვანი საბჭოების ქვეყანა ღირსეულად იზეიმებს მსოფლიო ლიტერატურის დამამშვენებლის, ქართველი ხალხის გენიის შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეს. ეს უმაგალითო ზეიმი იქნება.

ფაშიზმის ბნელეთის მოციქულები სპობენ მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებს. ფაშისტურ გერმანიაში საჯაროდ კოცონზე წვავენ გოეთეს, შილერის, ჰეინეს დიდებულ თხზულებებს. ესპანეთში ფაშისტი გენერალი ფრანკო წვავს და სპობს ესპანელი ხალხის სიამაყის — ლოპე-დე-ვეგას, სერვანტესის და სხვ. ქმნილებებს. ფაშიზმი სპობს კულტურას ხელოვნებას.

იქ ფაშისტურ „სამოთხეში" კულტურის, ხელოვნების, ხუროთმოძღვრების ძეგლებს ანადგურებენ.

აქ გამარჯვებული სოციალიზმის ბედნიერ ქვეყანაში კულტურის უმაგალითო აყვავებაა, მეცნიერება-ხელოვნების განვითარებისათვის უდიდესი ზრუნვა, კლასიკური ლიტერატურის უმაგალითო დაფასება — უკვდავყოფა.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა წელს დიდი ზეიმით ჩაატარეს რუსეთის დიდებული პოეტის პუშკინის, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლის ილია ჭავჭავაძის იუბილეები. ა.წ. 10 დეკემბერს მესამე უდიდესი დღესასწაული — შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის საიუბილეო დღეები დაიწყება.

რით დაიმსახურა შოთა რუსთაველმა მშრომელთა ფართო მასებში ასეთი დიდება და პატივი? რატომ გახდა მისი უკვდავი „ვეფხის-ტყაოსანი" ხელიდან ხელში საგოგმანებელ ქმნილებად? რას გადმოგვცემს მისი პოემა, რომ ქართველმა ხალხმა ძლიერი სიყვარულით გამოატარა ის ყველა ისტორიულ განსაცდელში? ამის მკვეთრ პასუხს იძლევა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის 1934 წლის 20-VIII დადგენილებაში; **„750 წელიწადი შესრულდა, რაც დაიბადა უდიდესი პოეტი, მხატვრული სიტყვის გენიოსი ოსტატი შოთა რუსთაველი, რომლის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი" — მიუხედავად იმისა, რომ ბნელეთის მოციქულები — ფეოდალ - ხუცესები საუკუნეთა განმავლობაში სდევნიდნენ მას და ცეცხლშიც კი ნთქავდნენ, — ლახავს საუკუნეთა წყებას ხდება ხალხის ნამდვილი კუთვნილება, უდიდეს გავლენას ახდენს მთელს შემდგომ ლიტერატურაზე და წარმოადგენს პოეტური შემოქმედების იმ ჯერ კიდევ მიუწვდომელ მწვერვალს, რომელზეც უნდა სწავლობდეს საქართველოს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაც".**

დიახ, შოთა მხატვრული სიტყვის გენიოსია. მისი უკვდავი ქმნილება — „ვეფხის-ტყაოსანი" კიდევ მრავალ საუკუნეს გადაწვდება. მასზე სწავლობენ და შემდგომაც დიდხანს და ბევრს ისწავლიან ჩვენი დიადი ეპოქის „სულის ინჟინრები"

რუსთაველმა წინასწარ განსჭვრიტა მომავალი კულტურული აღორძინების ეპოქა. შოთამ რაინდთა, გმირთა საერთო-საკაცობრიო ტიპები მოგვცა. მისი გმირები: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი სიცოცხლით ალსავსე რეალური ტიპებია, კეთილშობილნი, უშიშარნი და ერთმანეთისადმი ერთგული რაინდები. ისინი რეალური ცხოვრების მიზნებს და ამოცანების ემსახურებიან.

ნესტან-დარეჯანი და თინათინი — მშვენიერი ასულნი გვხიბლავენ უძლიერესი სიყვარულის გრძნობით, ხასიათის სიმტკიცით, მიზნის გარკვეულობით, მიჯნურისადმი უმაგალითო ერთგულებით, ვის არ მოხიბლავს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის, ავთანდილისა და თინათინის იდეალური, წმინდა გრძნობები!

გასაოცარია ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მეგობრობა და გმირობა, მათი მტკიცე კავშირი. მთელი პოემა ბრწყინვალე სიმღერაა მეგობრობისა და თავდადების, იდეალური გმირობისა და სიმამაცის, მეგობრისა და მიჯნურისათვის თავგანწირულების, ხასიათის სიმტკიცისა და მიზნის გარკვეულობისა. გმირები ამაყი ოპტიმისტებია, რომლებიც არავითარ დაბრკოლებების წინაშე არ იხევენ და შეუპოვარი ბრძოლით აღწევენ გამარჯვებას.

„ვეფხის-ტყაოსნისათვის უცხოა რელიგიურ - მისტიკური სულისკვეთება. მისი გენიოსი ავტორი ქრისტიანულ ეკლესიის ბნელეთის მოციქულთა წინაამდეგ იბრძოდა, „ვეფხის-ტყაოსანი" ამის საუკეთესო დამადასტურებელია.

აი, რატომ სდევნიდნენ და ცეცხლში წვავდნენ საუკუნეთა მანძილზე ამ გენიალურ ქმნილებას ბნელეთის მოციქულები.

ქართველი ხალხი შოთას სახელს და მის უკვდავ „ვეფხის-ტყაოსანს" მთელი საუკუნეები ჭალლით ატარებდა. მას ეზიარებოდა. მით ამხნევებდა თავს ყოველგვარ გაჭირვების დროს,

შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხის-ტყაოსანი" ხალხის კუთვნილებაა, მისი პირმშო შვილია. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა ამჟამად დიდი ენთუზიაზმით ემზადება შოთა რუსთაველის იუბილესათვის.

ი. ნატროშვილი.

როგორ ემზადებიან წალენჯიხაში

წალენჯიხის რაიონის მთელმა რიგმა სკოლებმა ენერგიული მუშაობა ჩაატარეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა წალენჯიხის საშუალო სკოლა (დირექტორი გრ. ძიძიგური). სკოლის ყველა საკლასო ოთახს გაუკეთდა რემონტი, შერემონტებულ იქნა სკოლის ინვენტარი: პარტები, დაფები, მაგიდები; შეძენილ იქნა 2 დაფა, რუკები და სხვ. სკოლა მზად არის სწავლის განახლებისათვის.

კარგად ემზადება აგრეთვე ჯგალის საშუალო სკოლა (დირექტორი ვ. კვარაცხელია). შერემონტებულ იქნა სკოლის ყველა საკლასო ოთახი, შემოღობილ იქნა ეზო.

ასეთივე მუშაობა ჩაატარეს წავიფუს, ფუქის და ჩაის საბჭოთა მეურნეობის არასრული საშუალო და ზედა-მაზანდარის, ქვედა-მაზანდარის და საკალანდიოს დაწყ. სკოლებმა.

მაგრამ ასე როდი მუშაობენ დანარჩენი სკოლები. მაგ., 3 წელზე მეტია, რაც ლიაში დაწყებულ იქნა საშუალო სკოლისათვის 2-სართულიანი შენობის მშენებლობა, მაგრამ დღესაც დაუმთავრებელია, ხოლო ძველი შენობა ვერ აკმაყოფილებს სკოლის გაზრდილ მოთხოვნილებას. ძველი შენობის სახურავი საჭიროებს რემონტს, მაგრამ სკოლის დირექტორ როგავას ამისათვის არ „სცალია".

ობუჯის არასრული საშუალო სკოლაც ასეთ პირობებშია. სკოლის ინვენტარი (პარტები, დაფები, მაგიდები) საჭიროებდა რემონტს, მაგრამ ამისათვის ხელი არავის მოუკიდია; სკოლის ეზო არ არის კარგად შემოღობილი და დამხმარე მეურნეობას პირუტყვი ანადგურებს. სკოლის დირექტორი ბარქაია ამ მდგომარეობას გულგრილად შესცქერის.

სასწავლო წლის დაწყებამდე დრო ცოტა დარჩა. საჭიროა განათლების განყოფილებამ და სკოლის დირექტორებმა მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლის განახლებამდე დარჩენილი დღეები.

ალ. მიქავა

სკოლის რემონტის საქმე ჩაშლილია

სოფ. ნუკრიანის—კალოების (სიღნაღის რ.) დაწყ. სკოლა სამარცხვინო პირობებში იმყოფება: სკოლის შენობას არა აქვს აივანი, საკლასო ოთახები არ არის წესიერად მოწყობილი, არ გააჩნია სამასწავლებლო, საკლასო ოთახებში ჩამოდის წვიმა, სკოლის ეზო შემოუღობავია.

სკოლა ახალ სასწავლო წელს მოუმზადებელი ხვდება. დღემდე აქ უბრალო რემონტიც კი არ ჩატარებულა.

გ. გურაშვილი

სასწავლო წლისათვის მზადება დაავიწყდათ

სოფ. ჭაბურთის (გეგეჭკორის რ.) დაწყებითს სკოლას არ გააჩნია სამასწავლებლო ოთახი, აკლია 15 პარტა, ბუხარი ჩამონგრეულია და რემონტს მოითხოვს, მაგრამ სკოლის გამგე ტ. ჯახუას ამისთვის „არა სცალია", მას დღემდე არ მოგონებია, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება საჭირო იყო. ჯახუას ერთხელაც არ დაუსვამს საკითხი კოლმეურნეობისა და სას. საბჭოს წინაშე სკოლის რემონტის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ სოფ. საბჭოდან გადმორიცხულია გათვალისწინებული თანხა, ჯახუას აზრადაც არ მოსვლია, რომ ის დანიშნულებისამებრ მოეხმარა. განათლების განყოფილებამ (გამგე ცანავა) იცის ეს მდგომარეობა, მაგრამ დღემდე მას არავითარი ზომა არ მიუღია.

სპ. ბართია

ესპანეთის ფრონტებზე

ჩრდილოეთის ფრონტი

18 აგვისტოს სანტანდერის და ვალენსიის პროვინციების საზღვრის მახლობლად გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა. მტრის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, რესპუბლიკელებმა იერიშით აიღეს მთელი რიგი სიმაღლეები, რომლებიც იტალიელთა და მაროკოელთა ნაწილებს ეჭირათ. მტერი გაიქცა და სანგრებში დასტოვა მრავალი მოკლული, აგრეთვე სამხედრო საჭურველი.

რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა მოსპეს სატვირთო მანქანების კოლონები კორკონტში მიმავალ გზაზე და გაჰფანტეს მტრის ჯარები, რომლებიც ლა ვირგას გზაზე იყვნენ თავმოყრილი. ამას გარდა, რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა აიძულეს ფაშისტთა კრეისერი „ალმირანტე სერვერა", რომელიც სანტანდერის წყლებში შევიდა, შეეცვალა კურსი და იქაურობას გასცლოდა.

ცენტრალური ფრონტი

კარაბანჩელის რაიონში რესპუბლიკელებმა განდევნეს მეამბოხეები შვიდი სახლიდან.

ავიაციის მოქმედება

რესპუბლიკელთა ავიაცია 18 აგვისტოს ყუმბარებს უშენდა მეამბოხეთა განლაგებას ალფახარინსა და ვილაფრანკა დე ებროში (სარაგოსის სამხრეთ - აღმოსავლეთით), სადაც ბომბარდირების შედეგად ხანძარი გაჩნდა.

საჰაერო ბრძოლის დროს სარაგოსის თავზე ჩამოაგდეს მეამბოხეთა ერთი თვითმფრინავი.

რესპუბლიკელთა მხარეზე

პარიზი, 17 აგვისტო (საქდესი). ესპანის სააგენტოს ცნობით, ცენტრალურ ფრონტზე, მადრიდის მახლობლად რესპუბლიკელთა მომქმედ ნაწილებს შორის არის ათასეული, რომელიც მთლიანად შესდგება მეამბოხეთა ბანაკიდან რესპუბლიკელთა მხარეზე გადმოსულ ჯარისკაცებისაგან. ისინი ფრანკოს ჩამოაშორა იტალიელთა და გერმანელთა აშკარა თარეშმა მეამბოხეების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. ამ ათასეულის მრავალმა ჯარისკაცმა უკვე ისახელა თავი მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლებში. 5 მათგანი გაგზავნეს ოფიცერთა მოსამზადებელ სკოლებში.

◇ ◇ ◇

მდგომარეობა ჩინეთში

○

ოკუპანტთა ახალი ძალები

შანხაი, 19 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ტიანძინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 17 აგვისტოს ტაკუში ჩავიდა იაპონიის 16 საზღვაო ტრანსპორტი ჯარებით.

იაპონიის ჯაშუშები სწამლავენ წყალს

შანხაი, 19 აგვისტო (საქდესი). იაპონელი ჯაშუშები კვლავ სწამლავენ წყალს შანხაის ქუჩების საზოგადო სადულრებში. „დაგუნბაოს" ცნობით, ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში 30 კაცზე მეტი დააკავეს დანაშაულის ადგილას.

იაპონიის ტანკების ხელში ჩაგდება

შანხაი, 18 აგვისტო (საქდესი). როგორც სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, ჩინეთის მოხალისეებმა ხელში ჩაიგდეს ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის ხაზის გასწვრივ იაპონიის რამდენიმე ტანკი.

თავდასხმა ჰოსპიტალზე

შანხაი, 19 აგვისტო (საქდესი). გაზეთ „მინბაოს" ცნობით, გუშინ იაპონელთა სამმა თვითმფრინავმა გადმოყარა 13 ყუმბარა სამედიცინო კოლეჯ „დუნანის" ჩინურ ჰოსპიტალზე.

ჩინელ ბოისკაუტთა ჯგუფს, რომელთაც საჩუქრები მიჰქონდათ ჩინელი ჯარისკაცებისათვის, იაპონელებმა ტყვიამფრქვევები დაუშინეს თვითმფრინავიდან.

თეთრგვარდიელ ჯაშუშების განდევნა კანტონიდან

შანხაი, 19 აგვისტო (საქდესი). გუანდუნის ჯარების სარდალმა იუ ხან-გოუმ გამოსცა ბრძანება, 24 საათის განმავლობაში ყველა თეთრგვარდიელმა დასტოვოს კანტონი. გაზეთები იუწყებიან, რომ ყველა თეთრგვარდიელი კანტონში იაპონელთა დაქირავებული აგენტი იყო და ჯაშუშურ მუშაობას ეწეოდა.

ჩინეთის ავიაციის წარმატებანი

შანხაი, 17 აგვისტო (საქდესი). როგორც სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, გუშინ ნანკინსა, სუჯოუსა, ტიანძინსა და ტანიანზე (ყველა პუნქტი მდებარეობს შანხაი-ნანკინის რკინიგზის გასწვრივ) იაპონიის ავიაციის თავდასხმის დროს ჩამოაგდეს იაპონიის 13 თვითმფრინავი.

შანხაი, 18 აგვისტო (საქდესი). როგორც სენტრალ ნიუსის სააგენტო ნანკინიდან იუწყება, სამხედრო სამინისტრომ დღეს ოფიციალურად დაადასტურა, რომ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულ იქნა იაპონიის 30-ზე მეტი თვითმფრინავი.

ყვარელის რაიონში კლუბები საწყობებად გახადეს

ყვარელის რაიონში საკლუბო მუშაობა ყურადღების გარეშეა. თვით ყვარელში კლუბის შენობა დაზიანდა და დიდი ხანია შეკეთებას საჭიროებს, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს.

სოფ. შილდაში არსებობდა საკოლმეურნეო კლუბი. მისი მუშაობა ნაყოფიერი იყო, მაგრამ გასულ ზამთარში სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ამჟამად მხილებული ხალხის მტრის ი. თანდილაშვილის განკარგულებით თამბაქოს საწყობად გადააქციეს. ესეც არ იკმარა ამ არამზადამ და უკანასკნელ ხანებში კლუბი ბეღლად გადააქცია. აიღეს სკამები და სხვა მოწყობილობა, სამაგიეროდ შიგ შეყარეს კოლმეურნეობა „მესვეურის" პური. ახლა შილდაში არავითარი კულტურული — მასობრივი მუშაობა აღარ წარმოებს; დრამატიული წრე, რომელიც ერთ დროს ნაყოფიერად მუშაობდა, ამჟამად ჩაშლილია, ახლაც, როდესაც ხალხის მტერი თანდილაშვილი ნიღაბჩამოხდილია, კლუბი ისევ პურითაა სავსე. რაიონის განათლების განყოფილება და ა. ლ. კ. კ. რაიკომი ჯერაც არ შედგომიან თანდილაშვილის მავნებლური საქმიანობის შედეგების ამოფხვრას.

ასეთივე მდგომარეობაა სოფ. ახალსოფელში. აქ კლუბად გამოყენებულია გაუქმებული ეკლესია. ერთ დროს ეს შენობა მშვენივრად იყო მოწყობილი. ადგილობრივი ძალებით შედგენილი დასის მუშაობაც საუცხოო იყო: იდგმებოდა წარმოდგენები, ეწყობოდა კითხვა-პასუხის საღამოები, ნაყოფიერად მუშაობდა სხვადასხვა წრე და სხვ. მაგრამ ახლა სულ სხვა სურათია. ოთხი წელიწადია, რაც ახალსოფლის საბჭომ კლუბის შენობას დანიშნულება შეუცვალა. კლუბი, სადაც სოფლის მოსახლეობა კულტურულ დასვენებას ეძლეოდა, გადაკეთდა — ზაფხულობით პურის ბეღლად, ზამთრობით კი თამბაქოს საწყობად.

ამნაირ მოვლენებს ყვარელის რაიონის თითქმის ყველა სოფელში აქვს ადგილი (სოფ. ხაშალხუტი, გავაზი, ჭიკაანი, ბალღოჯიანი და სხვ.). ხალხის მტრებმა თავისი მავნებლური საქმიანობით კულტურულ ფრონტს დიდი ზიანი მიაყენეს. ყვარელის რაიონის ხელისუფლების ორგანოებმა ეს გარემოება სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ, ხოლო დამნაშავეებს, რომელთა შორის ზოგი ჯერ კიდევ დაუსჯელად დაიარება, სათანადო პასუხი მოსთხოვონ.

ალ. ნ—ლი

თბილისის ყველა პიონერ-ორგანიზაციაში მიდის პიონერების მიერ ნორმების ჩაბარება სამი ნიშნის მიღებაზე.

სურათზე: მე 86 სკოლის ნიშნოსანი პიონერები (მარცხნიდან მარჯვნივ) ოთარ ვიზაგაშვილი, ნუნუ ბახტაძე და სედა მურადიანი.

სასწავლო წლისათვის მზადება სამხრეთ-ოსეთში

ცოტა ხანიც და ჩვენი ბედნიერი ახლათაობის მხიარული ჟივილ-ხივილით ახმაურდება სკოლის კარმიდამო. სტალინური მზრუნველობით გამთბარი ახალგაზრდობა განახლებული ენერგიით დაუბრუნდება სწავლასა და შემოქმედებას. მაგრამ ზოგი სკოლა მომზადებულად ვერ შეუდგება სწავლას.

სასწავლო წლისათვის მზადება სამხრეთ-ოსეთში არ მიმდინარეობს ნორმალურად. ოლქის მთელ რიგ სკოლებში რემონტი დაგვიანებით დაიწყო. ქ. სტალინირში არსებულ სკოლების რემონტისათვის დამტკიცებული თანხებიდან მცირე ნაწილი იქნა გაცემული. ესეც ძალიან დაგვიანებით — ივლისის ბოლოს.

ამ მხრივ დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ სამხრეთ-ოსეთის ფინსახკომი (ამხ. ბერძენია) და განსახკომი. მაგ., ქ. სტალინირის ქართულ საშუალო სკოლას რემონტისათვის განკუთვნილ 15.000 მანეთიდან ჯერჯერობით მიღებული აქვს მხოლოდ 5.000 მან., რის გამოც რემონტის ვადაზე დამთავრება საფრთხეშია. ამ სკოლისათვის ახალი სასკოლო შენობის (400 ბავშვისათვის) მშენებლობა დაუშვებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს, — არ არის საკმარისი ხე-ტყის მასალა, შენობა გადაუხურავია. საქ. განსახკომის სასკოლო მშენებლობის სამმართველოს მომუშავეთა დაუდევრობით სტალინირის კუთვნილი ხეტყის მასალა გადაგზავნილ იქნა ადიგენში, მავნებლის ხელი ხომ არ მოქმედებს იქ?

რემონტისათვის გადადებული თანხები არც ებრაელთა საშუალო სკოლას მიუღია სრულად. ოსურ ა-ს საშუალო სკოლაშიც რემონტი ძალიან ცუდად მიმდინარეობს. სომხურ და რუსულ დაწყებითს სკოლებში ჯერაც არ დაუწყიათ რემონტი. ამაზე არავინ იწუხებს თავს.

შ. გოზალიშვილი

ახალი სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობა

განსახკომის ცნობით, საქართველოს ქალაქებში სასკოლო მშენებლობა 30 ივლისისათვის ასეთ მდგომარეობაში იყო:

ბათუმის სკოლის შენობა მზად იყო 69 პროცენტით, კალენდარული გეგმით კი მზად უნდა იყოს 76.8 პროცენტით, სოხუმისა — 31 პროცენტით, უნდა იყოს 94 პროცენტით, გალისა — 52,2-ით, უნდა იყოს — 85, სტალინირისა — 47-ით, უნდა იყოს — 84.6 ქუთაისისა — 49-ით, უნდა იყოს 87,6, გორისა — 73-ით, უნდა იყოს 95.6, ფოთისა 73,6-ით, უნდა იყოს 85.8.

თბილისის სკოლებიდან: შაუმიანის ქუჩაზე სკოლის შენობა მზად იყო 72,9 პროცენტით, უნდა იყოს 90.3 პროცენტით, ცხრაძმის ქუჩაზე 63,3-ით, უნდა იყოს 91, ჭავჭავაძის ქ. — 61,8, უნდა იყოს 93.5, პლეხანოვის პრ.-46-ით, უნდა იყოს 90, მიასნიკოვის ქ. 67,4-ით, უნდა იყოს 96 პროცენტი.

○

ბათუმის საბავშვო ბაღის შენობა მზად იყო 13.4 პროცენტით, სოხუმისა — 1,2-ით, ქუთაისისა და თბილისის სამი საბავშვო ბაღის მშენებლობა ჯერ არ დაუწყიათ. გორის მზად იყო 20-ით, ფოთის — 42.2-ით. თბილისში მიასნიკოვის ქ. საბავშვო ბაღის შენობა მზად იყო 3.55 პროცენტით, გერმანელთა ქ. 4.5-ით, ბეგლეცკის ქ. — 14,75-ით, სოხუმის ქუჩაზე — 37.4-ით და ტრამვაიელთა პარკის ბაღი 30.4 პროცენტით.

პ/მგ. რედაქტორი გრ. სოსელია

რედაქციის მისამართი: თბილისი, ფურცელაძის ქ. № 3. ტელ. № 3-67-47.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68.

მთავლიტის რწმუნებული 31528